ISBN: 99928-937-7-X

ICCN

ყველა განსხვავებულია
ყველა თანასწორია

ევროპის
ანუ
საქართველოს
პასპორტი

შეუწყნარებლობის
წინააღმდეგ

ბროშურა განკუთვნილია ტრენინგის
მონაწილეთათვის და ყველა დაინტერესებული
პირისათვის

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

მისამართი:
ივ. მაჩაბლის 5, 1 სართული,
თბილისი 0105, საქართველო

ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78
ფაქსი: 93-91-78
E-mail: iccn@iccn.ge
http://www.iccn.ge

ბროშურა გამოიცემა
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ

ICCN

„ქორდეიდის“ ფინანსური მხარდაჭერით

Cordaid

© 2004 by ICCN

შეუწყნარებლობის ფორმებია:

- დისკრიმინაცია
- ეთნოცენტრიზმი
- ქსენოფობია
- ანტისემიტიზმი
- ასაკობრივი, კლასობრივი და გენდერული შოვინიზმი
- რასიზმი

ჩვენ ყველანი დავიბადეთ, ვცხოვრობთ და გვაქვს ჩვენი უფლებები, მოვალეობები, იმედები ...

1 = 1

შეუწყნარებლობა = 0

ყველა განსხვავებულია
ყველა თანასწორია

შეეწინააღმდეგე შეუწყნარებლობის ყველა გამოვლინებას!

დიდი ევროპა უნდა გახდეს შემწყნარებლობისა და სტუმართმოყვარეობის ადგილი, რომელიც ღია იქნება მსოფლიოსათვის და, სადაც თითოეული ადამიანი დაცული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

ყველა ერის წარმომადგენელი ავსებს ერთმანეთს...

1 = 1

ეთნიკური შეუწყნარებლობა = 0

ყველა განსხვავებულია
ყველა თანასწორია

რა არის ეთნიკურ-რელიგიური დისკრიმინაცია?

ეთნიკურ-რელიგიური დისკრიმინცია არის განსხვავება, გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება ნაციონალურ-ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური მიკუთვნებულობის ნიადაგზე, რაც მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის შეზღუდვისაკენ; ასევე ადამიანის ფუნდამენტური თავისუფლებების იგნორირებისაკენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში.

დისკრიმინაცია ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას

ევროპის კონვენციის მიხედვით – "ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დაცული უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან, რომელიც ემყარება სქესს, რასას, ფერს, ენას, რელიგიას, პოლიტიკურ შეხედულებას, ნაციონალურ ან სოციალურ წარმოშობას, ეთნიკური უმცირესობისადმი მიკუთვნებულობას, ქონებას, წარმოშობას ან სხვა სტატუსს."

(პარაგრაფი 14, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია)

1993 წელს, ვენაში ევროპის საბჭოს 34 წევრი-ქვეყნის მეთაურებმა შეიმუშავეს შემდეგი დეკლარაცია:

"ჩვენ:

- უსასტიკესად ვგმობთ რასიზმს და მის ყველა ფორმას, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს, შეუწყნარებლობასა და რელიგიური დისკრიმინაციის ყველა ფორმას;

- წავახალისებთ/მხარს დავუჭერთ წევრ-ქვეყნებს რათა მათ გააძლიერონ ძალისხმევა ამ ფენომენის დასამარცხებლად. ჩვენ ჩვენს თავზე ვიღებთ ვალდებულებას გავაძლიეროთ ეროვნული კანონდებლობა და საერთაშორისო ინსტრუმენტები, მივიღოთ შესაფერისი ზომები ნაციონალურ და ევროპულ დონეებზე;

• შევებრძოლოთ ყველა იმ იდეოლოგიას, პოლიტიკას და ქმედებებს, რომლებიც მოიცავს რასობრივ სიძულვილს, სისასტიკეს და დისკრიმინაციას, ისევე როგორც ნებისმიერ ქმედებას ან გამონათქვამს, რომელიც აძლიერებს შიშსა და დაძაბულობას სხვადასხვა რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური და სოციალური წარმოშობის ჯგუფებს შორის;

• შევიმუშავოთ მიმართვა ევროპელი ხალხების, ჯგუფებისა და მოქალაქეებისადმი, განსაკუთრებით ახალგაზრდებისადმი, რათა ისინი უპირობოდ ჩაერთონ ბრძოლაში შეუწყნარებლობის ყველა ფორმის წინააღმდეგ; აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ევროპული საზოგადოების მშენებლობაში, რომელიც დაეყრდნობა საერთო ფასეულობებს - დემოკრატიას, ტოლერანტობასა და სოლიდარობას.“

რა არის რასისტული დოქტრინა?

ეს არის რასობრივ უპირატესობაზე

დამყარებული დოქტრინა.

ეს დოქტრინა მეცნიერულად მცდარი,

მორალურად მიუღებელი,

სოციალურად უსამართლო და საშიშია.

რასობრივ დისკრიმინაციას არა აქვს

გამართლება თეორიასა თუ პრაქტიკაში.

რა არის რასიზმის გამოვლინება?

- რასიზმის გამოვლინება ნიშნავს წარმოშობისა და რწმენის საფუძველზე სხვის უარყოფასა და ჩაგვრას;

- აგრეთვე, ეთნიკური ჯგუფის, რასის, ეროვნებისა ან რელიგიისადმი მიკუთვნებულობის საფუძველზე ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას;

- რასობრივი სიძულვილის, ძალადობისა და სხვათა დისკრიმინაციისთვის ხელშეწყობას.

ევროპის საბჭოს წევრ-ქვეყანაში

დაუშვებელია ადამიანს წარმოშობის გამო ეკრძალებოდეს:

- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებით სარგებლობა
- განათლების მიღება
- საცხოვრებელი ადგილის შერჩევა / სარგებლობა
- საბანკო მომსახურებით სარგებლობა
- სამსახურის და უმუშევრობის კომპენსაციის მიღება
- სოციალური დაზღვევა/ დახმარება
- საჯაროდ ქორწილის ან რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნა

ამასთან:

- არავის აქვს უფლება საჯაროდ გამოთქვას აზრი, რომელიც ადამიანებში გამოიწვევს დისკრიმინაციულ ან სასტიკ საქციელს სხვა წარმოშობის ადამიანების მიმართ
- არავის აქვს უფლება გაახმაუროს ან გამოაქვეყნოს დისკრიმინაციული ხასიათის განცხადება
- არავის აქვს უფლება მხარი დაუჭიროს ან გაწევრიანდეს იმ ასოციაციაში, რომლის რეგულარულ საქმიანობაში შედის რასობრივი დისკრიმინაციისა და სისასტიკის პროპაგანდა/გამოყენება.

სხვის ქვეყანაში უცხო ვარ ...

აქ = იქ

ქსენოფობია = 0

ყველა განსხვავებულია
ყველა თანასწორია

ყველა განსხვავებულია
ყველა თანასწორია

ყველა ადამიანის უფლება თანაბრად უნდა იქნას დაცული, რადგან:

➢ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით ყველა ადამიანი თანაბარია ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, სოციალური სტატუსის, სქესის, რასის, ფერის, ენის, პოლიტიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად;

➢ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ვალდებულება ადამიანის უფლებების დაცვაა;

➢ საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა და ვალდებულია, შექმნას ყველა პირობა ადამიანის უფლებების დაცვისათვის; ამას ხელი უნდა შეუწყოს როგორც მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებამ, ასევე თითოეულმა მოქალაქემ;

➢ ადამიანის უფლებების დაცვის, თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის დამკვიდრების გარეშე ვერ დავამყარებთ მშვიდობას, ვერ მივაღწევთ საქართველოს მდგრად განვითარებას და მისი ევროპის ნაწილად გადაქცევას.

ჩვენ ყველანი თანასწორუფლებიანი ვართ ...



გენდერული დისკრიმინაცია = 0

რა არის გენდერული თანასწორობა?

გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების, უფლებების, თავისუფლებებისა და ვასუხისგებლობების განხორციელებას ცხოვრების ყველა სფეროში.

ყველა განსხვავებულია
ყველა თანასწორია

გენდერული დისკრიმინაცია არის ყველა სახის

განსხვავება

გამორიცხვა

აკრძალვა

რომელიც ეფუძნება სქესს და რომლის მიზანი და შედეგია: გოგონების, ბიჭების, ქალების, მამაკაცების თანასწორობაზე დაფუძნებული უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების ან გამოყენების შეზღუდვა / გაუქმება.

რა უნდა გააკეთოთ თუ დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდით?

თქვენ უნდა ადგილზე ჩამოართვათ ჩვენება მოწმეებს.

თქვენ შეგიძლიათ თქვენს ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დაუკავშირდეთ: იურისტს, იურიდიულ საბჭოს, პროკურორს, უბნის პოლიციას ან ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციას, რათა მიიღოთ რჩევა კანონიერ დახმარებასთან დაკავშირებით.

რა უნდა გააკეთოთ, თუ დისკრიმინაციის მომსწრე / მოწმე გახდით?

თქვენ უნდა:

- შეატყობინოთ მსხვერპლს თქვენი სახელი და მისამართი;
- წერილობით აღწეროთ დანახული ფაქტი;
- გააგზავნოთ ეს განცხადება პროკურორთან რეგიონალურ სასამართლოში, რომლის რაიონშიც მოხდა ინციდენტი
- შეაგროვოთ სხვა მოწმეების ჩვენებები, თუ შესაძლებელია

ქვემოთ მოყვანილია განცხადების ნიმუში:

მე (გვარი, სახელი, მისამართი) ვადასტურებ

რომ ჰირადად შევესწარი შემდეგს:

(----------)

(----------)

(----------)

მე, (სახელი, გვარი) ვფიცავ, რომ

მოყვანილი ფაქტები არის სიმართლე.

ცრუ ჩვენების მიცემისთვის ჰასუხს ვაგებ

მოქმედი კანონმდებლობით.

(ხელმოწერა და თარიღი)

დისკრიმინაციის შემთხვევაში

შესაბამისი განცხადებით თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ:

- სასამართლოს, ჰოლიციას და სხვა სამთავრობო სტრუქტურებს;
- სახალხო დამცველის აპარატს და ადამიანის უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებს.

აგრეთვე:

ევრო საბჭოში რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ეროვნული კომიტეტისა და საქართველოს შესახებ ინფორმაციის მოსაჰოვებლად მიმართეთ:

ევროჰის საბჭო, ევროჰული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, კომისიის სამდივნო: ფაქსი: 33 (0) 3 88 41 39 87

ბროშურას საფუძვლად უდევს შემდეგი დოკუმენტები:

1. "ევროჰული ჰასჰორტი შეუწყნარებლობის წინააღმდეგ", რომელიც შემუშავებულია **France-Libertes** დანიელ მიტერანის ფონდის მიერ შექმნილი ჰასჰორტის საფუძველზე

2. "გენდერული ასპექტები ჰოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში", ეუთო, ვენა, სექტემბერი, 2001.